ბრძანება

21 ივნისი 2019 წ. თბილისი № 27/01

თსსუ-ში დასაქმებული პერსონალის (აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე) მიერ ელექტრონული შეტყობინების ყოველდღიურად შემოწმების აუცილებლობის

შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) სამსახურის უფროსს (გ. დონაძეს) უზრუნველყოს (აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე) პერსონალისათვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ მათთვის შექმნილი პერსონალური ელექტრონული ფოსტის მისამართების გაცნობა.
2. დაევალოს აკადემიურ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს ყოველდღიურად შეამოწმონ ელექტრონული შეტყობინება პერსონალურ ელექტრონულ მისამართებზე და დაადასტურონ თსსუ-დან გაგზავნილი ინფორმაციის მიღება.
3. ინფორმაცია ჩაითვლება მიწოდებულად, მიუხედავად იმისა,დაადასტურებს თუ არა თსსუ-ის პერსონალი მის მიღებას.
4. წინამდებარე ბრძანების მეორე პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევ პირს დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.
5. დაევალოს თითოეული სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, უზრუნველყონ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული

პერსონალისათვის ამ ბრძანების გაცნობა, რომელიც დადასტურებული იქნება წერილობით.

6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება დაევალოს რექტორის აპარატის უფროსს ირინა კაპეტივაძეს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება დაეგზავნოს კანცლერს, ვიცე-რექტორებს, კანცლერის მოადგილეებს, რექტორის აპარატის უფროსს, კანცლერის აპარატს, ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი